



აპლიკანტის გზამკვლევი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები



აკადემიის მისია: პროფესიული განათლების მისაღებად, პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივად პროფესიის შესაბამის რეალურ გარემოში, შრომის ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადება. ინდივიდის მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა. აკადემია არის მრავალპროფილური პროფესიული კოლეჯი, როლის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ჯანდაცვა.

ხედვა: 2027 წლისთვის აკადემია პროფესიული განათლების სივრცეში მყარადაა დამკვიდრებული და კურსდამთავრებულთა 70% დასაქმებულია პარტნიორების მიერ.

ღირებულებები: პროფესიონალიზმი, სამართლიანობა, გუნდურობა, საჯაროობა, თანასწორობა.



აპლიკანტთა რეგისტრაცია და შერჩევა

პროგრამაზე აპლიკანტად დარეგისტრირება ხორციელდება სარეგისტრაციო სისტემაში www.vet.emis.ge, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.

რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ აკადემიის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

აპლიკანტები შეფასების თარიღების და დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე.



საექთნო საქმის, ფარმაციის (სააფთიაქო), ბულალტრული აღრიცხვის და სკოლამდელი აღზრდის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ტესტირება ჩატარდება:

1. საექთნო საქმის და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე -ქიმია-ბიოლოგიაში;
2. ბულალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - რაოდენობრივ წიგნიერებაში;
3. სკოლამდელი აღზრდის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - წიგნიერებაში;

ვებტექნოლოგიების, ინფორმაციის ტექნოლოგიის და საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება შპს ინტერბიზნესის აკადემიაში მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე.

აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.

შერჩევის მეთოდების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეძლებს სტუდენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სათანადოდ მიღწევას.

მოტივაციური გასაუბრების განრიგი დამატებით შეგიძლიათ ასევე
იხილოთ აკადემიის ვებ-გვერზეც
<https://www.interbusiness.edu.ge/>



შერჩევის პირობები

1. თქვენ გევალებათ მოტივაციურ გასაუბრებაზე აკადემიაში გამოცხადდეთ დანიშნულ დროს;
2. თქვენ ვალდებული ხართ იქონიოთ თქვენი გვერდიდან ამობეჭდილი მოსაწვევი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც გასაუბრების დაწყებამდე უნდა წარუდგინოთ კომისიას.

3. თქვენ შეფასდებით 6 კომპეტენციით:

1) ინფორმაცია პროფესიის შესახებ;

აღნიშნული ბლოკის მიზანია ინტერვიუერმა გამოარკვიოს რამდენად ფლობს აპლიკანტი ინფორმაციას პროფესიის შესახებ და რამდენად სურს ამ პროფესიის შესწავლა. რამდენად მოტივირებულია აპლიკანტი პროფესიის შესწავლით, რაც ამ შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაციის მოძიების მცდელობით გამოიხატება;

2) პროფესიული ცნობისმოყვარეობა;

აღნიშნული კომპონენტის მიზანია მოტივაციური ასპექტების საფუძვლიანად შეფასება. რამდენად ცნობისმოყვარეა აპლიკანტი პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, რამდენად ისწრაფვის დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და უკვე არსებული კომპეტენციების სრულყოფისკენ.

3) მსგავსი სამუშაოების შესრულების გამოცდილება;

აღნიშნული კომპონენტის მიზანია ინტერვიუერმა დაადგინოს რამდენად დაინტერესებულია აპლიკანტი პროფესიის შესწავლით და სცადა თუ არა მან საკუთარი ძალების მოსინჯვა ამ პროფესიაში, თუნდაც არაფორმალურად; ამ სამუშაოების პროცესში ყველაზე ხშირად გამოყენებული სამუშაო იარაღების / აღჭურვილობისა და ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის ქონას ან მათი გამოყენების გამოცდილებას.

4) პროფესიის მნიშვნელობის გააზრება ;

მოცემული განზომილება აფასებს თუ რამდენად აცნობიერებს აპლიკანტი პროფესიის არსს, სარგებელს და პოტენციურ ზიანს, რისი მოტანაც ამ პროფესიას გარემოსთვის შეუძლია. ამ კომპონენტის შეფასება საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტიანად ვიწინასწარმეტყველოთ აპლიკანტის მიღწევა პროფესიაში;

5) პროგრამაზე სწავლის მზაობა;

აღნიშნული განზომილება აფასებს რამდენად აქვს ინფორმაცია პროგრამის შესახებ, კერძოდ, სასწავლო დატვირთვის, საგნებისა და ზოგადად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის სპეციფიკის შესახებ. რეალურად, ამ განზომილების მიზანია შეაფასოს რამდენად შეძლებს აპლიკანტი ჩარიცხვის შემთხვევაში სათანადო დრო და ენერჯია დაუთმოს პროფესიულ პროგრამაზე სწავლას.

6) კარიერული განვითარების გეგმები.

აღნიშნული ბლოკი აფასებს, რამდენად აქვს წინასწარ განსაზღვრული აპლიკანტს საკუთარი კარიერის აღნიშნულ პროფესიასთან დაკავშირება, აქვს თუ არა მასთან დაკავშირებული გეგმა/ პროგრამა, რომლის რეალიზებაზეც მუშაობს, რამდენად თვლის, რომ აღნიშნული პროფესია კარიერული განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

5. თითოეული კომპეტენციის მაქსიმალური ქულაა -4, მინიმალური-0; შეფასების მაქსიმალური ქულაა-24; მინიმალური კომპეტენციის ზღვარია -6 ქულა.

6. მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა არ ნიშნავს პროგრამაზე ჩარიცხვას, თქვენ ჩარიცხვებით რეიტინგული სიების შესაბამისად.

7. თუ ჩვენთან ჩანიშნული მოტივაციური გასაუბრების დღე და საათი ემთხვევა სხვა კოლეჯში ჩანიშნულ გასაუბრებას, თქვენ უფლება გაქვთ შეტყობინების მიღებიდან 24 საათში მოგვმართოთ განცხადებით ტელეფონით ან/და ელ.ფოსტის საშუალებით და გადატანილი იქნას გასაუბრება სხვა დროს.

8. შეფასების ქულა ემისის მიერ აიტვირთება და ნახვას შეძლებთ თქვენს გვერდზე, თუ თქვენ არ ეთანხმებით შეფასებას ან/და თვლით, რომ თქვენს მიმართ დაირღვა შერჩევის პროცედურა თქვენ გაქვთ უფლება შედეგის გამოქვეყნებიდან 24 საათის განმავლობაში მომართოთ აკადემიას აპელაციის განცხადებით, სააპელაციო კომისია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს თქვენს საჩივარს, გაეცნობა შეფასების კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს და მიიღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის, ასევე პროცედურის დარღვევა-არ დარღვევის შესახებ გადაწყვეტილებას.

9. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან / და ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

10. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი არ გამოცხადდება შერჩევის დღეს საპატიო მიზეზის გამო, რომლის შესახებაც აკადემიას ინფორმაციას და მტკიცებულებას მიაწვდის კონკურის ჩატარებიდან ორი სამუშაო სამუშაო დღის ვადაში, აკადემია განიხილავს კონკრეტულ შემთხვევას და მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი აპლიკანტისთვის შერჩევის განსხვავებულ ვადებში დანიშვნის შესახებ, შერჩევის პერიოდისთვის დადგენილი ვადების გათვალისწინებით 11. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.

12. აკადემიას თითოეული პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს რენტაბელობის ზღვარი თუ მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე აპლიკანტი ჩარიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ჩარიცხულ პირთა რაოდენობა ნაკლებია რენტაბელობის ზღვარზე, პროფესიული სტუდენტი მისი თანხმობის შემთხვევაში აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება გარე მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში იმავე პროფესიულ პროგრამაზე, ან/და შიდა მობილობით სხვა პროფესიულ პროგრამაზე.

13. პირებისთვის, რომლებიც გასაუბრებას გადიან სხვა ენაზე, ქართული ენის კომპეტენციის დადგენის მიზნით, ჩაუტარდება ტესტირება. ვერ დადასტურების შემთხვევაში, პირი ვალდებულია ჯერ გაიაროს ქართული ენის მოდულები და შემდგომ გააგრძელოს სწავლა არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე.

14. ტესტირება ტარდება სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე;

15. ქართული ენის ჯგუფის ვერ შექმნის და თქვენი თანხმობის შემთხვევაში აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი იქნებით მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გმადლობთ რომ აირჩიეთ ინტერბიზნესის
აკადემია.

გისურვებთ წარმატებებს.

